საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მოწვევა ფასთა კოტირებაზე - საქონლის შესყიდვა

საქართველო

რეგიონული განვითარების პროექტი (RDP)

შუამთისა და იყალთოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის აღჭურვილობის მიწოდება

პროექტის ნომერი: P126033

კონტრაქტის/კოტირების #IBRD/RDP/G/SH/03-2016-2

ლოტი 1 - #IBRD/RDP/G/SH/03-2016-L1-2
ლოტი 2 - #IBRD/RDP/G/SH/03-2016-L2-2
ლოტი 3 - #IBRD/RDP/G/SH/03-2016-L3-2

საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკისაგან (The World Bank) დაფინანსება **რეგიონული განვითარების პროექტის (RDP)** განსახორციელებლად და განზრახული აქვს ამ სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისათვის: **„შუამთისა და იყალთოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის აღჭურვილობის მიწოდება“**

ახალი შუამთის მიმდებარე ტერიტორიაზე შენდება ცენტრი, რომლის მიზანია გომბორის გზით კახეთში მიმავალი ტურისტებისათვის საინტერესო და მოგზაურობისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება და მათთვის კომფორტული გარემოს შექმნა. აღნიშნული ცენტრისთვის დაგეგმილია შესაბამისი აპარატურის შეძენა და შიდა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა.

შენობა სამსართულიანია. -3 ნიშნულზე მდებარეობს არასაჯარო დანიშნულების ოთახი, სადაც განთავსდება დაცვის სამსახური საჭირო მოწყობილობებით. ამავე ოთახში იქნება ცენტრალური საკომუნიკაციო კვანძი აპარატურული კარადით (rack), სადაც თავს მოიყრის საქსელო კაბელები სხვა სართულებიდან. კარადაში დამონტაჟდება ქსელური კომუტატორი (switch) და მარშრუტიზატორი (router). ჰოლში განთავსდება უმავთულო წვდომის წერტილი (Wireless Access Point), 2ც საინფორმაციო ტერმინალი და 1ც მულტიფუნქციური მოწყობილობა. შენობაში მოეწყობა კაფე. 0-ვან ნიშნულზე ჰოლში საჭიროა 2ც უმავთულო წვდომის წერტილი (Wireless Access Point), 5ც საინფორმაციო ტერმინალი და 1ც. მულტიფუნქციური მოწყობილობა. +3 ნიშნულზე საჭიროა 1ც. უმავთულო წვდომის წერტილი შენობის შიგნით და 1ც. შენობის გარეთ. უმავთულო წვდომის წერტილები, ტერმინალები და მულტიფუნქციური მოწყობილობები საქსელო კაბელის საშუალებით უნდა მიუერთდნენ ცენტრალურ კომუტატორს -3 ნიშნულზე.

შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს მთლიანი კომუნიკაციური ინფრასტრუქტურის ტესტირება და აქტიური ხელსაწყოების გამართვა დამკვეთის მოთხოვნისამებრ.
შენობის ნახაზები, აპარატურისა და აღჭურვილობის განთავსების ადგილები და ქსელის ლოგიკური სქემა მოყვანილია დანართებში: #2.1; #2.2; #2.3; #2.4; #2.5; #2.6; #2.7; #2.8; #2.9; #2.10;

1. თქვენ მოწვეული ბრძანდებით ფასთა კოტირების წარმოსადგენად ნებისმიერ ერთ, ორ ან სამივე ლოტზე ქვემოთ ჩამოთვლილის მისაწოდებლად:

- ლოტი N1 – კომპიუტერული ტექნიკის და შიდა ქსელის მიწოდება და მოწყობა
- ლოტი N2 – სამზარეულოსა და კაფეს აღჭურვილობის მიწოდება და მოწყობა
- ლოტი N3 – დაცვის სისტემების მიწოდება და მოწყობა

ინფორმაცია ტექნიკური სპეციფიკაციების და საჭირო მოცულობების შესახებ მოცემულია „მოწოდების პირობებსა და ვადები“-ში.

2. თქვენ შეგიძლიათ წარმოადგინოთ ფასთა კოტირება ნებისმიერ ერთ, ორ ან სამივე ლოტზე. ფასთა კოტირება უნდა წარმოადგინოთ თქვენს მიერ გაფასებული ლოტის ყველა პუნქტისათვის. ფასთა კოტირება შეფასდება ყოველი ლოტისთვის ცალ-ცალკე და ყოველი ლოტის ყველა პუნქტისთვის ერთობლივად. კონტრაქტი მიენიჭება იმ პირს (ორგანიზაციას), რომელიც ყველაზე დაბალ მთლიან ფასს წარმოადგენს თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე.

3. ფასთა კოტირებაში მონაწილე პირმა (ორგანიზაციამ) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე procurement@mdf.org.ge უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ფასთა კოტირების ფორმა (დანართი N1) - შევსებული და ხელმოწერილი
- მოწოდების ვადები და პირობები (დანართი N2) - შევსებული და ხელმოწერილი

4. თქვენ მიერ ქართულ ენაზე წარმოდგენილ ფასთა კოტირებას თანდართული უნდა ჰქონდეს სათანადო ტექნიკური დოკუმენტაცია, კატალოგ(ები)ი და სხვა ბეჭდური მასალა ან შესაბამისი ინფორმაცია თითოეული კოტირებული ლოტისთვის, მათ შორის საქართველოში მომსახურების ობიექტების მომწოდებელი ფირმების სახელწოდებები და მისამართები.

5. ფასთა კოტირებაში მონაწილე კომპანიას უნდა ჰქონდეს გამოცდილება მსგავსი აღჭურვილობის მიწოდების სფეროში (დამკვეთი იტოვებს უფლებას, რომ აღნიშნული გამოცდილების დამადასტურებლად მოითხოვოს დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა).

6. ფასთა კოტირებები წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ინსტრუქციების თანახმად და თანდართული კონტრაქტის შესაბამისად. თანდართული „მიწოდების პირობები და ვადები“ წარმოადგენს კონტრაქტის განუყოფელ ნაწილს.

(i) <u>ფასები:</u> კოტირების ფასები წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში. მთლიანი ფასი უნდა მოიცავდეს საქონლის საბოლოო დანიშნულების ადგილზე (თელავის მუნიციპალიტეტი, მისამართი: თელავის შესასვლელთან, ახალი შუამთის მიმდებარე ტერიტორიაზე) მიტანის ხარჯებს, ასევე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, დღგ-ს, სახმელეთო ტრანსპორტირების ხარჯს, დაზღვევის ხარჯებს, დატვირთვისა და გადმოტვირთვის ხარჯებს.

(ii) <u>კოტირებების შეფასება:</u> ის შემოთავაზებები, რომლებიც არსებითად დააკმაყოფილებს ტექნიკურ სპეციფიკაციებს შეფასდება მთლიანი ფასის შედარებით, ზემოთმოყვანილი მე-2 პარაგრაფის შესაბამისად.

კოტირებების შეფასებისას შემსყიდველი თითოეული კოტირებისათვის განსაზღვრავს შეფასებულ ფასს კოტირების კორექტირებით და ნებისმიერი არითმეტიკული შეცდომის ჩასწორებით, როგორც ქვემოთ არის მოყვანილი:

(ა) იქ, სადაც სახეზეა შეუსაბამობა ციფრებსა და სიტყვებში გამოსახულ თანხებს შორის, უპირატესობა მიენიჭება სიტყვებში გამოსახულ თანხას;

(ბ) იქ, სადაც სახეზეა შეუსაბამობა ერთეულის ფასსა და პუნქტების ქვეჯამებს შორის, რაც მიღებულია ერთეულის ფასის რაოდენობაზე გამრავლებით, უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

(გ) თუ მომწოდებელი უარს განაცხადებს შესწორების მიღებაზე, მისი კოტირება უარყოფილი იქნება.

(iii) <u>კონტრაქტის მინიჭება:</u> კონტრაქტი მიენიჭება ტენდერის იმ მონაწილეს, რომელიც წარმოადგენს ყველაზე დაბალი ფასის მქონე არსებითად შესაბამის კოტირებას და რომელიც შესატყვისობაში იქნება მოთხოვნილ ტექნიკურ სპეციფიკაციებთან და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. წარმატებული კოტირების

მონაწილე ხელს მოაწერს კონტრაქტს თანდართული კონტრაქტის ფორმის და მოწოდების პირობებისა და ვადების შესაბამისად.

(iv) <u>შემოთავაზების ქმედუნარიანობა:</u> თქვენი კოტირება(ები) ძალაში იქნება წინამდებარე ფასთა კოტირების მიღების ბოლო ვადიდან ორმოცდახუთი (45) დღის განმავლობაში.

7. ინსპექტირება და აუდიტი

7.1 მომწოდებელი შეასრულებს შემსყიდველის ყველა ინსტრუქციას, რომელიც შესატყვისობაშია დანიშნულების ადგილას მოქმედ კანონმდებლობასთან.

7.2 მომწოდებლის ყურადღება უნდა მიეპყროს კონტრაქტის ფორმის მე-5 მუხლს – **თაღლითობა და კორუფცია**, რაც სხვა დებულებათა შორის იმასაც უზრუნველყოფს, რომ ყველა ქმედება, რომელიც გამიზნულია ბანკის მიერ ინსპექტირებისა და აუდიტის უფლების გამოყენების შეზღუდვისაკენ, წარმოადგენს აკრძალულ პრაქტიკას და კონტრაქტის შეწყვეტას ექვემდებარება.